საქართველოს ერთა ძმობის ორდენოსანი

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 147 (5248) | ორშაბათი, 27 ივნისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

გუშინ დიდი აღფრთოვანებითა და ერთსულოვნებით ჩატარდა რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნები.

რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის მშრომელებმა გუშინდელ არჩევნებზე ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს თავიანთი სიყვარული და ერთგულება ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მშობლიური სტალინისადმი.

უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 23 ივნისის დადგენილება 1938 წლის მოსავლის აღების შესახებ, რომელიც გუშინწინ „კომუნისტში“ დაიბეჭდა, უნდა მოსავლის მიღების კონკრეტულ, მკაფიო ღონისძიებებს შეიცავს. მთავრობის ეს დადგენილება ყველა მუშაკ-პარტიულს და არაპარტიულს რაზმავს სტალინური 7-8 მილიარდი ფუთი პურისათვის ბრძოლაში. ამოცანა ის არის, რომ მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი და პირნათლად შევასრულოთ პირველი მცნება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებისა.

საბჭოთა საქართველოს კოლმეურნეობებმა დიდი მუშაობა გასწიეს მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში. პურეულის ნათესთა დაშენებება უფრო მეტი გულმოდგინებით, სიყვარულით ჩატარდა, ვიდრე გასულ წლებში. შედეგიც ჩინებულია. მარცვლეულ კულტურათა მაღალ მოსავალს მოელიან. მაგრამ უხვი მოსავალი თავისთავად არ მოდის, იგი უნდა მოვიპოვოთ. ძირშივე უნდა აღვკვეთოთ ყოველგვარი თვითკმაყოფილება და დემობილიზაციური განწყობილება მაღალი მოსავლის მიღებით. უნდა გვახსოვდეს, რომ წლევანდელი პურეულის მოსავალი ჯერ ბეღელში არა გვაქვს მიტანილი და საამისოდ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

სილნაღის, ლაგოდეხის, ყარაიას, ბორჩალოსა და თელავის რაიონებში უკვე დაიწყო მოსავლის აღება. დღითი-დღე ახალი რაიონები ეჯატებიან მოსავლის აღების რიგებს. კიდევ რამდენიმე დღე და თავთავიან კულტურათა აღება მასობრივად გაიშლება.

ორდენოსანი საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების წინაშე სავსებით რეალური, მაგრამ დიდი ამოცანა დგას. საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას მიერ დასახული ამოცანა—1940 წლისათვის საქართველოს ძირითადად საკუთარი პურით უზრუნველყოფის შესახებ გვავალებს ისე დავაბინაოთ მთელი მოსავალი, რომ არ დავკარგოთ არცერთი ცენტნერი პურეული. საჭიროა კიდევ მეტი ორგანიზებულება და მოქნილი მუშაობა.

ჩვენში ცოტა როდი არიან ისეთი კოლმეურნეობანი, რომლებიც სანიმუშოდ მოემზადნენ მოსავლის აღებისათვის. სილნაღის რაიონის ზემომაღაროს კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ წევრებმა დროზე და მაღალხარისხოვნად დაამთავრეს მანქანების რემონტი. დანაკარგების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყოფილია 90 კოლმეურნე ქალი და 25 მოზარდი. აქ უკვე მოახდინეს ბეღლების დეზინფექცია. ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „განთიადის“ ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებიან მოსავლის უდანაკარგოდ აღებაში. ბრიგადის წევრებმა ზუსტად იციან, თუ რა სამუშაოს შესრულებენ.

მაგრამ ჯერ კიდევ ეხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს მოსავლის აღების მზადებაში. ზოგან ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ სალეწი მანქანების რემონტი. მაგალითად, საგარეჯოს და წალკის მტს-ებს 20 ივნისისათვის სალეწების შეკეთების გეგმა სანახევროდ ჰქონდათ შესრულებული, ხოლო გურჯაანისას (დირექტორი—ბარბაქაძე) კი 53,3 პროცენტით. გურჯაანის მტს-ს არ შეუკეთებია ავტომეორე ერთი კომბაინი. მტ(ც)—ეს მტს-ი მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი კომბაინერებითა და სალეწებზე მომუშავე კადრებით. გურჯაანის მტს-ის ცუდი მუშაობისათვის პასუხისმგებელია რაიონის ხელმძღვანელობა, რომელსაც შექმნილი მდგომარეობიდან დღემდე ვერ გაუკეთებია საჭირო დასკვნა.

ხაშურის რაიმოწყობის ცნობებიც კი არ მოეპოვება საკოლმეურნეო ინვენტარის რემონტის მიმდინარეობაზე. ამავე რაიონის სოფ. ალის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ისიც არ იცის, თუ რა სამუშაო უნდა შესრულდეს მტს-მა კოლმეურნეობაში. ეს იმიტომ, რომ კოლმეურნეობა მოწყვეტილია რაიმოწყობისა და მტს-ის ხელმძღვანელობას. ნუთუ ეს ფაქტები ცნობილი არ არის ხაშურის პარტრაიკომისა და რაიკომპარტიისათვის?

უზრუნველობისა და უდარდელობის შედეგია ის, რომ ჯორის მტს-ში შეკეთებული 10 კომბაინიდან, სხვადასხვა ნაწილების უქონლობისა და უვარგისობის გამო, აქტით მხოლოდ ერთია მიღებული. მტს-ში არ იციან, თუ როგორ მიმდინარეობს კოლმეურნეობებში მოსავლის აღებისათვის მზადება. განა ამას უწოდებს მტს-ის დირექტორი მუკაშიანი „ოპერატიულ“ ხელმძღვანელობას?

პარტიამ და მთავრობამ სოფლის მეურნეობა აღჭურვეს პირველხარისხოვანი იარაღ-მანქანებით. მათი სწორად გამოყენება საშუალებას იძლევა თვალსაჩინოდ გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, და თუ ამთავითვე სრულ წესრიგში არ იქნა მოყვანილი კომბაინები, სალეწები და სხვა რთული და აგრეთვე მარტივი იარაღ-მანქანები, ისე მოსავლის უდანაკარგოდ აღებაზე ლაპარაკი ცარიელი სიტყვები იქნება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის მიწსახკომისა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ბრძანებანი კომბაინერთა შრომის ანაზღაურების შესახებ. კომბაინერის შრომის სამრჯელო ეძლევა არა მარტო აღებული ჰექტარების რაოდენობისა, არამედ აღებული მარცვლეულის რაოდენობის მიხედვითაც. დაწესებული ჯილდო-დანამატი უდიდესი სტიმულია კომბაინერებისათვის—მაღალმოსავლიან ნაკვეთებზე მუშაობისათვის. ამოცანა ის არის, რომ ეს წესი მტკიცედ გავატაროთ და ფართოდ გავაცნოთ იგი კომბაინერებს.

მოსავლის ჩაბარების პირველშავე შედეგებმა გვიჩვენა, რომ „ზაგოტზერნოს“ წნორის ბაზა მოემზადებელი შეხვედა ამ საქმეს. გამორკვა, რომ საწყობში არ ჩაუტარებიათ ბეღლის მავნებლების წინააღმდეგ საჭირო ღონისძიებანი. ამის გამო საწყობები დაავადებული აღმოჩნდა ბეღლის მავნებლებით. ბაზის გამგე ნ. გამცემლიძე ამ მდგომარეობას გულდაშვიდებით უცქერის. „ზაგოტზერნოს“ ხელმძღვანელმა მუშაკებმა აქედან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ და მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ სისტემაში შემავალი მიმღები პუნქტების სრულ წესრიგში მოსაყვანად.

ადგილებიდან მოსული ცნობები მოწმობენ, რომ ბაღახის აღებაში აშკარა ჩამორჩენასთან გვაქვს საქმე. ეს მაშინ, როცა ბაღახის კარგი მოსავალია, ამინდიც საუკეთესოა მის დაჩარებით ასაღებად. დროსა სამიწათმოქმედო ორგანოებმა სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს და მით მტკიცე საკვები ბაზა შეუქმნან აღმავლობის გზაზე მყოფ სოციალისტურ მეცხოველეობას.

ხალხის ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელი მტრების ნაბოლარები შეეცდებიან ხელი შეუშალონ მაღალი მოსავლის აღებას. ეს გვიკარნახებს კიდევ უფრო გავამახვილოთ რევოლუციური სიფხიზლე და დაუნდობლად გავანადგუროთ მტრის ნაბოლარები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XI ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა „უზრუნველჰყონ მოსავლის აღების მომზადება და ჩატარება დროულად და უდანაკარგოდ და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვადაზე დაბზადება“. ეს დავალება ბოლშევიკური შეუპოვრობით უნდა განვახორციელოთ.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე ახალი ძალით გაიზგიზებს სოციალისტური შეჯიბრების ცეცხლი. სილნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ის კომბაინერმა ვ. ნადირაშვილმა იკისრა მოსავალი აიღოს 350 ჰექტარზე წაცვლად 240 ჰექტარისა და სოციალისტური შეჯიბრებაში გამოიწვია კომბაინერი გ. ბახტურიძე. ამის მაგალითები ბევრია. სამიწათმოქმედო ორგანოები სათავეში უნდა ჩაუდგნენ სტახანოვური მოძრაობის ახალ აღმავლობას სოფლად კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

ჯერ კიდევ დროა სასწრაფოდ გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება 1938 წლის მოსავლის აღების შესახებ ფართოდ უნდა გავაცნოთ ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის ყველა მუშას და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ სანიმუშოდ ავიღოთ მაღალი, სტალინური მოსავალი.

ბელორუსიის დედაქალაქში

მინსკი, 26 ივნისი (საკდესი). უკვე საღამოდან ქალაქი სიხარულით იყო აღტაცებული, როგორც კი მზის პირველმა სხივებმა გაანათეს ამწვანებული ქალაქი, ქუჩები სიცოცხლით აივსო. აწკრიალდნენ სიმღერები და ორკესტრები. ბელორუსიის დედაქალაქის მშრომელნი, სადღესასწაულოდ გამოწყობილნი, აღფრთოვანებულნი მიდიოდნენ საარჩევნო უბნებისაკენ, რათა ხმა მიეცათ, ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრებისათვის.

სამრეწველო ოლქის პირველ უბანში, სადაც კენჭს იყრის ამხანაგი სტალინი, ამომრჩევლებმა დილის 3 საათიდან იწყეს თავის მოყრა.

დილის 6 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. იულანოვმა გამოაცხადა ხმის მიცემის დაწყება.

პირველი ამომრჩეველი, რომელიც ურნასთან მივიდა, იყო ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პონომარენკო. ამის შემდეგ ურნასთან მივიდნენ ბელორუსიის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლინკოვი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ზაკრევსკი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ბოგდანოვი, ბელორუსიის სსრ პროკურორი ამხ. ვოლკოვი, ბელორუსიის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბელიცკი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ნიკიტინი, ბელორუსიის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

სანიმუშოდ ჩავაყვაროთ მოსავლის აღება

იქ, სადაც ხელმძღვანელობა კარგია

სიღნაღი, (საქდესი). სოფ. ზემო-მაღაროს კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ თავმჯდომარე ამხ. სოსო ბაიდოშვილი ალკ წევრია. მისი კოლმეურნეობა ყოველდღიურად წინ მიდის და მტკიცდება. თავისი ენერგიული შრომით და ახალგაზრდული ენთუზიაზმით ამხ. ბაიდოშვილმა ღირსეული პატივისცემა და ავტორიტეტი დაიმსახურა კოლმეურნეობის წევრთა შორის.

მოსავლის აღებისათვის კოლმეურნეობა ყოველმხრივ მზად არის.

გამოყოფილია 85 მუშა-ხელი მოსავლის ხელით აღებისათვის. გამოყოფილია აგრეთვე 90 ჭალი და 25 მოზარდი დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მზად არის 20 ურემი, ხოლო სათადარიგოდ 6 ახალი ურემი. ტომრები მომზადებულია სიმაღლე რაოდენობით. შეკეთებული და დეზინფექცირებულია 4 ბეღელი და საჭირო ინვენტარი.

კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ წევრებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს ქვემო-მაღაროს კოლმეურნეობა „შრომის“ წევრები, მოსავლის ვადაზე და უდანაკარგოდ აღებისათვის. მოსავლის აღება აქ 25 ივნისიდან დაიწყო.

მოსავლის ასაღებად იარაღ-მანქანების შეკეთებას აჭიანურებენ

გურჯაანის მანქანა-ტრაქტორების სადგურის დირექციამ (დირექტორი ბარბაქაძე) თავიდანვე სუსტად დაიწყო მოსავლის აღებისათვის მზადება. მტს-ს 10 ივნისამდე უნდა შეეკეთებინა 13 კომბაინი და 14 სალეწი მანქანა. მიუხედავად ამისა, ერთი კომბაინი და ხუთი სალეწი მანქანა ჯერაც შეუკეთებელია. მანქანა-იარაღების შეკეთებაში ჩამორჩენა გამოიწვია იმან, რომ მტს-ს საკმაო რაოდენობით არ ჰყავდა რემონტზე მომუშავე კადრები. 15 მემანქანის ნაცვლად ყოველდღიურად რემონტზე მუშაობდა სამი მემანქანე. მტს-ი ამჟამად არ არის უზრუნველყოფილი არც კომბაინებზე და არც სალეწ მანქანებზე მომუშავე სპეციალისტებით. აკლია ერთი კომბაინერი და 11 სალეწ მანქანაზე მომუშავე.

მოსავლის ასაღებად საჭირო მანქანა-იარაღების შეკეთების მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე მტს-ის მომსახურებაში მყოფ 51 კოლმეურნეობაში. მათ ისევ შეუკეთებელი აქვთ თვითმკრელების, სათიბი მანქანების, ტრიერებისა და სამკელების ნაწილი.

განსაკუთრებით სამარცხვინოდ ჩამორჩენიან: სტალინის სახელობის კოლმეურნეობა და კოლმეურნეობა „ბლეხთა გაერთიანება“. მათ მოსავლის ასაღებად საჭირო მანქანა-იარაღების შეკეთების საქმეზე დღემდე არაფერი გაუკეთებიათ.

მტს-ის მომსახურებაში მყოფმა კოლმეურნეობებმა წელს თავთავიანი კულტურები უნდა აიღონ 4.700 ჰექტარზე. მისი მასობრივად აღება დაიწყება 1-ლი ივლისიდან, მაგრამ რატომღაც ჯერ-ჯერობით ამას არ ითვალისწინებენ.

რაჭიდან ჩამორჩა ქობულეთის რაიონი ჩაის კრეფაში

ბათუმი, (საქდესი). ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა მაისში საბჭოთა ქვეყანას 299.238 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი დააკლეს. ჩამორჩენა ივნისშიც გრძელდება. რაიონის კოლმეურნეობებმა ივნისის გეგმის შესასრულებლად ყოველდღიურად უნდა ჰკრიფონ 40 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი; მაგრამ ეს დავალება არ სრულდება. 20 ივნისს რაიონში ჩაის კრეფის ივნისის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 44,2 პროცენტით.

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. მ. ზოიძე და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მემედ გოგიტიძე ამ სამარცხვინო ჩამორჩენას უამინდობით ხსნიან, რაც სწორი არ არის.

სინამდვილეში, ჩამორჩენის მიზეზი მდგომარეობს არა უამინდობაში, არამედ იმაში, რომ რაიონში იმთავითვე ვერ მოეკიდნენ სერიოზულად და ვერ გაუწიეს სათანადო ხელმძღვანელობა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმის დაყვანას მკრეფავებამდე, ჩაის მკრეფავი ჯგუფების სწორად გამოყოფას, მათს მოშზადებას და მიმაგრებას პლანტაციებზე, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას რაიონის კოლმეურნეობებში, ჩაის კრეფის წესების ფართოდ დანერგვას და დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. მიზეზი მდგომარეობს კიდევ ძალების არასწორად განაწილებაში, ჩაის კრეფის ტემპების შესუსტებაში, განუწყვეტელი კრეფის გაუტარებლობასა და სტახანოვური მეთოდების ფართოდ გამოუყენებლობაში.

15 ივნისს ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრეფილი 776 კილოგრამი ჩაის ფოთლიდან 701 კილოგრამი უხარისხო აღმოჩნდა. კრეფის ბეროწესების დარღვევის შედეგად კოლმეურნეობამ 500 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი დაკარგა. ჩაის ფოთლის დაკარგვას ადგილი აქვს სოფ. ჭაქვთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. ბერაძე). ხალას სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშა-ხელს მაქსიმალურად არ იყენებენ. ხუცუბნის ჩაის ფაბრიკის დირექტორის — ამხ. ა. კომახიძის დაუდევრობით ჩაის ფოთოლი დაგვიანებით გადაიტანეს. რის შედეგადაც 1200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჩახურდა და გაფუჭდა.

რაიონის მიწგაზის, რაიაღმასკომისა და ჩაის კანტორის მუშაკები სუსტად ეხმარებიან კოლმეურნეობებს ჩაის ფოთლის კრეფაში და არ უწევენ მათ ნამდვილ ოპერატიულ ხელმძღვანელობას.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მემედ გოგიტიძე მხოლოდ ავტომანქანიდან ათვალიერებს კოლმეურნეობათა ნაკვეთებს და ჩაის პლანტაციებს; იგი ერთხელაც არ დაინტერესებულა კოლმეურნეობების შესწავლით. აი, ნამდვილი მიზეზები, თუ რატომ არის ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა ქობულეთის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფაში.

რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გოგიტიძემ ჩაის ფოთლის ამ გახურებული კრეფის მომენტში და მაშინ, როცა რაიონი ჩაის კრეფის საქმეში სამარცხვინოდ ჩამორჩება, მთელი ყურადღება თავის კაბინეტის მორთვა - გალამაზებას მოანდომა. გოგიტიძე თავის კაბინეტის შეკეთებისა და მორთვა-გალამაზების დამთავრებამდე თავზე ადგა შემკეთებელ მუშებს და განკარგულებებს აძლევდა, რომელი კედელი რა ფერად შეეღებათ და სად რა დაედგათ.

გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ კორესპონდენტმა ქობულეთის რაიონში ამხ. თოფურს გაბაიძემ ჯერ კიდევ 8 ივნისს ამცნობა ჩაის კრეფის საქმეში ჩამორჩენის მიზეზები და რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. მემედ გოგიტიძის უდარდელი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხისადმი. ნაცვლად იმისა, რომ რაიონის ხელმძღვანელობას საჭირო დასკვნები გაეკეთებინა ხსენებული კორესპონდენციიდან, მან დევნა დაუწყო კორესპონდენტ გაბაიძეს, რომელსაც აუკრძალა წერა, თუ მისი თვითეული ინფორმაცია შეთანხმებული არ იქნებოდა რაიკომის მდივან ზოიძესთან. კორესპონდენტს აუკრძალეს წერა აგრეთვე რაიონის ცუდად, უხეიროდ მოწყობილ ხელმძღვანელ მუშაკებზე იმ შემთხვევაში, თუ მის ინფორმაციებს არ ეკუთვნა წარწერილი რაიკომისა და რაიაღმასკომის რეზოლუციები.

ნ. ჯიბლაძე

საქართველოს აღკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

22 და 23 ივნისს მიმდინარეობდა საქართველოს აღკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მესამე პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა თბილისის ტრამვაის, თბილისის ავტომარემონტო ქარხნისა და მაუდის ფაბრიკის კომკავშირული კომიტეტების მდივნების (ამხ. ცხადაძის, დებადელისა და არუთინოვის) მოხსენებები იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება საკ. კავკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი „ახალგაზრდა სტახანოველებისათვის კომკავშირული ორგანიზაციების დაბმარებისა და ახალგაზრდობას შორის სტახანოვური მოძრაობის გაფართოების შესახებ“.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა 17 ამხანაგი.

განიხილა რა მოხსენებები, პლენუმმა აღნიშნა, რომ, სტახანოვური მოძრაობის გაშლისა და მასში კომკავშირელებისა და კავშირგარეშე ახალგაზრდობის ფართო მასების ჩაბმის დარგში თბილისს კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებასთან ერთად, ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია, როგორიცაა ტრამვაის, მაუდის ფაბრიკის, თბილისის ავტომარემონტო ქარხნისა და სხვათა, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ კომკავშირელთა და კავშირგარეშე ახალგაზრდობას შორის სტახანოვური მოძრაობის საკითხებზე, საკმაო ყურადღებას არ აქცევენ სტახანოვური მოძრაობის შემდგომ ზრდას ახალგაზრდობაში. მაუდის ფაბრიკაში 411 მუშიდან და მუშა - ქალიდან სტახანოველია 202 კაცი, ტრამვაიში მომუშავე 496 ახალგაზრდიდან სტახანოველია 314 კაცი და თბილისის ავტომარემონტო ქარხნის 258 კაციდან სტახანოველია მხოლოდ 182. ამ საწარმოთა კომკავშირული კომიტეტები საკმაო დახმარებას არ უწევენ ჩამორჩენილ ამხანაგებს. აქ არ ხდება სტახანოვური მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება, არ სწარმოებს ინსტრუქტაჟი.

ცალკეულმა კომკავშირულმა კომიტეტებმა თავი მიიბეზეს ტექნიკური სწავლების ხელმძღვანელობას. ისინი არ ზრუნავენ ახალგაზრდა სტახანოველთა კულტურული დონის ამაღლებაზე. კომკავშირის ცალკეული კომიტეტები სუსტად ხელმძღვანელობენ „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფებს, არასაკმაოდ რაზმავენ გამოცდილ სტახანოველებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს მავნებლობის შედეგთა ლიკვიდაციისათვის საბრძოლველად თავიანთ საწარმოებში.

კომკავშირის ლენინისა და სტალინის რაიკომები საკმაოდ არ ეხმარებიან პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს სტახანოვური მოძრაობის გაშლაში.

აღნიშნა რა ეს ნაკლოვანებანი, პლენუმმა დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ავალებენ პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს გადაჭრით გაუმჯობესონ მუშაობა ახალგაზრდა სტახანოველებთან, მიაღწიონ ტექნინიმუმის წრეების და სხვა ტექნიკური წრეებისა და სკოლების მუშაობის საფუძვლიანად გაუმჯობესებას. ტექმინიმუმის წრეების მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ თვითეულმა კომკავშირელმა, თვითეულმა ახალგაზრდა მუშამ მიიღოს საჭირო ტექნიკური ცოდნა, შესძლოს სახტექგამოცდის ჩაბარება „ფრიადზე“ და „კარგზე“.

პლენუმმა დაავალა კომკავშირის კომიტეტებს გააუმჯობესონ სტახანოველების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში ახალგაზრდობის კულტურული გართობა.

პლენუმმა დაავალა საქართველოს აღკ თბილისის საქალაქო კომიტეტსა და რაიკომებს გააუმჯობესონ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევა ახალგაზრდობას შორის სტახანოვური მოძრაობის შემდგომ გაშლაში.

პლენუმმა მოისმინა კომკავშირის რაიკომების მდივნების ამხ. შ. ნონიაშვილისა და ვ. დარაშვილის მოხსენებები საქართველოს აღკ თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის და 26 კომისრის სახელობის რაიონების პროპუსმენარების მუშაობის შესახებ.

ამ საკითხზე კამათში გამოვიდა 13 კაცი.

აღნიშნა რა პროპუსმენარების მუშაობის ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად დაყენება სტალინის სახელობისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში, პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ამ მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

შემდეგ პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქართველოს აღკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად აირჩია ამხ. ა. ბაღდასაროვი. ამხ. ა. ბაღდასაროვი არჩეულ იქნა საქართველოს აღკ თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრად.

საქართველოს აღკ თბილისის კომიტეტის III პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ). თბილისის კომიტეტის მდივნებმა ამხ. ს. იშხანოვმა და მ. ჯაშმა. (საქდესი).

ვიბრძვით პირველობისათვის

(ბრიგადირის წერილი)

აღბულაღის რაიონის სოფელ კოლას ვ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა მომზადებული ხვდება მოსავლის აღებას. წელს ამ კოლმეურნეობაში თავთავიანი კულტურები აღებულ უნდა იქნას 977 ჰექტარზე, სიმინდი 100 ჰექტ., კარტოფილი 30 ჰექტ., და სხვ.

კოლმეურნეობის გამგეობამ დროულად დაამუშავა მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხი. კოლმეურნეობის ხუთივე ბრიგადამ და ბრიგადის წევრებმა უკვე იციან, თუ კონკრეტულად რა სახის სამუშაოზე უნდა იმუშაონ მოსავლის აღების დროს.

შეკეთებულია მოსავლის აღებისათვის საჭირო ინვენტარი, დეზინფექცირებულია მარცვლეულის შესანახი ბეღლები, დამკვრელური ტემპებით მიმდინარეობს მარცვლეულის დამატებითი საშრობის მშენებლობა. მოსავლის დასაცავად გამოყოფილია მეხანძრეთა რაზმი და საჭმის მცოდნე კოლმეურნეები.

მარცვლეულის უდანაკარგოდ ასაღებად ბრიგადებს შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ბრიგადებმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი. ჩვენმა ბრიგადამ იკისრა, რომ წელს ჯვითეულ ჰექტარზე მიიღოს: ქერი 16 ცენტნერი, ხორბალი 14 ცენტნერი, კარტოფილი 120 ცენტნერი, სიმინდი 30 ცენტნერი და სხვ.

10 ივლისამდე დავამთავრებთ თავთავიანი კულტურების აღებას, ზუსტად აღვრიცხავთ შესრულებულ სამუშაოს და დავნერგავთ მუშაობის სტახანოვურ მეთოდებს.

ჩვენმა ბრიგადამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია პირველი და მეხუთე ბრიგადები.

დავით ჯავახიშვილი

სოფ. კოლას ვ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის ბრიგადირი.

ხორბლის აპრობაციას მეჭი ყურადღება

ბორჩალო, (საქდესი). რაიონის კოლმეურნეობებმა მოსავლის მასობრივი აღების დაწყებამდე ჩაატარეს ნათესების აპრობაცია. ხორბლის აპრობაცია დაბლობ ზონაში უკვე დამთავრებულია. კიზილ-აჯილის, გიაურარხის, ყურთლარისა და სხვა სოფლსაბჭოების კოლმეურნეობათა მიერ საკვლევო პუნქტებში მიზიდულმა პირველმა სააპრობაციო ძნებმა გვიჩვენეს ნათესების წმინდა ჯიშიანობა. მარცვლის კატეგორია და ჯიში ინიშნება სპეციალური მოწმობით. სულ რაიონში შემოწმებული იქნება მარცვლოვანთა ნათესების 16 ათასზე მეტი ჰექტარი.

გიაურარხის სოფლსაბჭოს აგრონომმა სუხორუკოვმა დაუდევრად ჩაატარა ნათესების აპრობაცია მის მომსახურებაში მყოფ უბანზე. მის მიერ მოტანილი ძნები აღმოჩნდა არასრულფასოვანი, მათ არ ჰქონდათ სათანადო რაოდენობა ღეროებისა და ეტიკეტებისა. მისი მუშაობა დაწუნებულ იქნა. სუხორუკოვი გადაყენებულ იქნა აპრობაციის საქმეზე შემდგომი მუშაობიდან.

თბილისის ამრეშუმის საქსოვი ფაბრიკის პარტკაბინეტში აგიტატორი ამხ. ა. სიმაშვილი ესაუბრება ახალგაზრდა მუშებს. ფოტო რ. აკოფოვისა.

მებრძოლ უღმერთოთა რესპუბლიკური ყრილობა

25 ივნისს თბილისში, შრომის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების რესპუბლიკური ყრილობა. პირველ სხდომაზე, ყრილობის ორგანოების არჩევის შემდეგ, მოსმენილ იქნა უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს საანგარიშო მოხსენება. მომხსენებელმა ამხ. გ. სახაროვმა აღნიშნა, რომ ამჟამად საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირში 130.000-მდე წევრია. უკანასკნელ ხანებში კავშირმა შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა და გაშალა ანტირელიგიური პროპაგანდა. მაგრამ ნაკლოვანებები მაინც ბევრია. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მეტადრე ადგილებზე. რაიონულმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა უშუალო დახმარება უნდა გაუწიონ უღმერთოთა კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებს ანტირელიგიური მუშაობის ფართოდ გაშლაში.

ყრილობის პირველ სხდომაზევე მოსმენილ იქნა კავშირის სარევიზიო კომისიის წარმომადგენლის ამხ. კლ. ბოკერიას მოხსენება.

ყრილობის მეორე სხდომაზე გაიმართა კამათი კავშირის ცენტრალური საბჭოს საანგარიშო მოხსენების ირგვლივ. რაიონებიდან ყრილობაზე ჩამოსულმა დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ იქ, სადაც ანტირელიგიური პროპაგანდა სუსტად იყო დაყენებული, ხუცებმა და მათმა დამჭაშებმა გავლენა მოიპოვეს მოსახლეობის კულტურულად ჩამორჩენილ ნაწილში (ჩხარის, ახალქალაქის, ბორჯომის რაიონები და სხვ.). ახალქალაქის რაიონში, მაგალითად, ხუცებმა, ტერტერებმა და ანტისაბჭოთა ელემენტებმა შარშან ხმა გაავრცელეს, მალე ქვის სეტყვა მოვა და მინდვრის სამუშაოებზე არ გახვიდეთო. მტრებს ამით სურდათ ჩაეფუშათ მოსავლის აღების კამპანია. ასეთსავე შემთხვევებს ჰქონდა ადგილი სხვაგანაც.

ყრილობის მეორე სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ჩარკვიანი. ამხ. კ. ჩარკვიანი შეჩერდა უმთავრესად იმ ამოცანებზე, რომლებიც დგას ახლა მებრძოლ უღმერთოთა კავშირის წინაშე.

— მთავარი ნაკლი, — სთქვა ამხ. ჩარკვიანმა, — მებრძოლ უღმერთოთა კავშირისა ისაა, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის მასობრივი ორგანიზაცია, რომ კავშირის წევრები არ არიან ჩაბმული ყოველდღიურ ანტირელიგიურ მუშაობაში. ამიტომ პირველი ამოცანა ის არის, რომ კავშირის რიგებში ჩავაბათ ფართო მასები.

მეორე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ რაიონულმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა იგრძნონ პასუხისმგებლობა ანტირელიგიური მუშაობის გაშლაში და პრაქტიკული, ცოცხალი და ჭკვიდა დახმარება გაუწიონ მებრძოლ უღმერთოთა კავშირს.

მესამე ამოცანა ისაა, რომ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მუშაობაში ჩავაბათ მეცნიერული ძალები და გამოვიყენოთ მათი ცოდნა და გამოცდილება ანტირელიგიურ პროპაგანდაში.

შემდეგ ამხ. ჩარკვიანი შეჩერდა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ახასიათებს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალურ საბჭოს.

ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ჩარკვიანის სიტყვა.

ამზადებენ ბოლშევიკურ შეხვედრას

ბათუმი, (საქდესი). პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის დიდი აღმავლობით ემზადებიან ფაბრიკებისა და ქარხნების საუკეთესო ადამიანები, საბჭოთა აჭარის სოციალისტური მინდვრების საუკეთესო ადამიანები საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პირველი სესიების გახსნის დღისათვის.

ბათუმის ნავთობსახდელი ქარხნის მეორე საამქროს სტახანოველებმა №№ 21, 22, 23 და 24 დანადგარებზე ივნისის გეგმა 20 ივნისისათვის 102 პროცენტით შეასრულეს. №№ 25, 26 და 27 დანადგარებზე გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, ხოლო № 29 დანადგარზე კრეკინგ-ბენზინის გეგმა შესრულებულია 115,5 პროცენტით.

ნავთობსახდელი ქარხნის მეორე საამქროს კოლექტივმა ვალდებულება აკისრა 12 ივლისისათვის საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პირველი სესიების გახსნის დღისათვის გადაჭარბებით შეასრულოს ივლისის გეგმა და გეგმის ზეგით მისცეს საწელმწიფოს 3.000 ტონა კრეკინგ-ბენზინი. მეორე საამქროს სტახანოველი ამხ. ივანე ხორუნჯი, № 21 დანადგარის ოპერატორი, დაწინაურებულია ცვლის ინჟინრის თანამდებობაზე. დღიურ ნორმებს ივე 121 პროცენტით ასრულებს. სტახანოველმა - ჩამომდენმა ამხ. თევზაძემ 20 დღეში 111 პროცენტით შეასრულა ივნისის გეგმა. სტახანოველმა ამხ. სერგო მხითაროვმა, № 27 დანადგარის ოპერატორმა, გეგმა 108 პროცენტით შეასრულა. სტახანოველმა ოპერატორმა გოგიტიძემ — 124 პროცენტით, სტახანოველი მანასიანი ნორმას 121 პროცენტით ასრულებს.

საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პირველ სესიას უდიდესი წარმატებებით ხვდება ბათუმის საორთქლმავლო დეპოს ალკ 20 წლის თავის სახელობის კომკავშირული ბრიგადა. სტახანოველმა ამხ. მიხეილ კუნჭულიამ მაისში გეგმა 140,9 პროცენტით შეასრულა, მემანქანე შენგელიამ, თევზაძემ, მანჩალაძემ და კუნჭულიამ ვალდებულება აკისრეს 10 პროცენტით შეამცირონ საწვავი მასალის ხარჯვა და უკეთესად იმუშაონ.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ჩაის ფოთლის აკრეფის გეგმის შესრულებაში ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ (საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. თოხაძე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი). ეს საბჭოთა მეურნეობა მაისში ძლიერ ჩამორჩებოდა. მაგრამ მუშაობის გადახალისების შედეგად საბჭოთა მეურნეობამ 20 დღის განმავლობაში 65.7 პროცენტით შეასრულა ივნისის გეგმა. მოწინავე ბრიგადები სტახანოვური მუშაობის ნიმუშებს იძლევიან. საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო სტახანოველი ქალები — ამხ. ორეშენკო, კურუჩკო, გრიგორიადი, ოვლოგი — დღიურ დავალებას 150-200 და მეტი პროცენტით ასრულებენ.

გეგმას 125 პროცენტით შეასრულებს

ახალი საწარმოო ენტუზიაზმის ზრდითა და მუშაობის სტახანოვური მეთოდის დანერგვით ზესტაფონის ფეროშენადნობიანი ქარხნის სალნობმა საამქრომ პირველი ხუთი თვის გეგმას საგრძნობლად გადააჭარბა.

მაისში სალნობი საამქროს პირველმა ცუმელმა საწარმოო გეგმა 134 პროცენტით შეასრულა, მეორემ—124, მეოთხემ—134, მეზუთემ—130 და მეექვსემ—130-ით. მთელმა საამქროს საწარმოო გეგმა 125,6 პროცენტით შეასრულა.

სალნობი საამქროს გეგმების წარმატებით შესრულებასთან ერთად დიდად გაუმჯობესდა ლითონის ჩამოსხმის ტექნოლოგიური პროცესი, რამაც მინიმუმამდე შეამცირა დანაკარგები და საგრძნობლად გაუმჯობესა ლითონის ხარისხი.

ლითონის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად გაადვილდა ლითონის აწაგება. თუ წინათ ერთი მუშა სამუშაო დღის განმავლობაში აწაგებდა 825 კილოგრამს, ახლა ერთი მუშა აწაგებს 2,5—3 ტონამდე.

წარმატებით სრულდება ივნისის გეგმაც. 15 დღის საწარმოო გეგმა სალნობმა საამქრომ 105 პროცენტით შეასრულა. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები სტახანოვური მოძრაობის სათავეში

წინათ ჩვენი ქარხნის პარტორგანიზაციაში გამეფებული იყო შემცდარი აზრი; თითქოს პარტკომს უნდა მხოლოდ და მხოლოდ პარტიული მუშაობა, სამეურნეო საკითხები კი პარტკომის მუშაობის ფუნქციებში არ შედის. ამ „თეორიას" პრაქტიკულად ანხორციელებდა პარტკომის მაშინდელი მდივანი. ივი ერთიმეორისაგან სთიშავდა პარტიულსა და სამეურნეო მუშაობას, უგულებელჰყოფდა მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიებების დიდ როლს სამეურნეო საკითხების გადაჭრაში. რა მოჰყვა ამას შედეგად? — შესუსტდა სტახანოვური მოძრაობა, მივიწყებულ იქნა კომუნისტთა ავანგარდული როლისათვის ბრძოლა წარმოებაში.

პარტიული ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კრიტიკა მიმართული იყო კომუნისტთა ავანგარდული როლის გაძლიერების, ტექწრეების მუშაობისა და ახალი კადრების გამოზრდის საქმეში არსებული ნაკლოვანებებისაკენ. ყველა ამ საკითხების ირგვლივ საანგარიშო-საარჩევნო კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

პირველი ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს სტახანოვური მოძრაობის გაშლას—ეს არის ძალების სწორად განაწილება, რომლის დროსაც ქარხნის გადამწყვეტ უბნებში მუშაობენ კომუნისტები. ჩვენც ამ მხრივ წარვმართეთ მუშაობა.

პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის უნარიანად შეთავსებით მივაღწიეთ იმას, რომ ქარხანამ მაისის საწარმოო გეგმა წარმატებით შეასრულა. ამ მოკლე ხანში გაიზარდნენ და დაწინაურდნენ ახალი ადამიანები. სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურებულ იქნა 38 კაცი, გაძლიერდა სტახანოვური მოძრაობა, გამოჩნდნენ სტახანოველთა ახალი კადრები, რომლებიც დღემდე შეუმჩნეველნი იყვნენ.

ახლა ჩვენს ქარხანას ჰყავს 322 სტახანოველი (შარშან მხოლოდ 140 სტახანოველი იყო). მათ შორის საუკეთესო სტახანოველი კომუნისტები ამხ. ვრიგოლ ცაბაევი და ლ. ლებეშევი საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე არჩეულ იქნენ პარტკომის წევრებად. ამხ. ცაბაევი პარტკომის მდივნის პირველი მოადგილეა. პარტკომში არჩევის შემდეგ ამხ. ცაბაევმა გაორკეცებული ენერგიით გაშალა მუშაობა საამქროში საწარმოო გეგმების შესრულებისათვის.

კომკავშირელმა სტახანოველმა ბახტაძემ (ტექნიკური საამქროს ხარატი), მაისის გეგმა 2000 მეტი პროცენტით შეასრულა. პარტიაში ახლად მიღებულმა ამხ. ვართანოვმა მაისის გეგმა 500 პროცენტით შეასრულა, გრიგორიანცმა—856 პროცენტით.

მართალია უწინდელთან შედარებით ჩვენს ქარხანაში სტახანოველთა ახალი კადრების ზრდა წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენთან ცოტანი როდი არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც შესწევთ უნარი თავისი ინიციატივით, პრაქტიკული გამოცდილებით და ცოდნით ხელი შეუწყონ სტახანოვური მოძრაობის გაშლას, საჭიროა მათი „აღმოჩენა". ეს პირველ რიგში ეკისრება პარტიულ კომიტეტს.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კონფერენციაზე ამხანაგმა ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში მიგვითითა ქარხანაში მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციის არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობის შესახებ. ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა და სამეურნეო ხელმძღვანელობამ ამხ. ბერიას მითითების შედეგად ფართოდ გაშალა მუშაობა ამ ნაკლის უახლოეს დროში გამოსასწორებლად.

პარტიულ-მასობრივი მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებით ავამაღლებთ სტახანოვურ მოძრაობას, ავამაღლებთ თვითეული კომუნისტის წამყვან როლს სტახანოვურ მოძრაობაში და ამით უზრუნველვყოფთ მავნებლების შედეგების ლიკვიდაციას, მივაღწევთ ახალ წარმატებებს.

შ. სარაული

თბილისის ავტო-სარემონტო ქარხნის პარტკომის მდივანი.

გულმოდგინედ ვიმუშაოთ თანამგრძნობებთან

სოფ. ზემო-მაჩხაანის (სიღნაღის რაიონი) ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ჩატარებულ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამოირკვა, რომ პარტორგანიზაცია უგულებელყოფდა თანამგრძნობებთან მუშაობას და ნაკლებად ეხმარებოდა მათ. კრებამ სხვა პრაქტიკულ ღონისძიებებთან ერთად თანამგრძნობთა ჯგუფის ხელმძღვანელობის გაძლიერების საქმეშიც დასახა ღონისძიებანი. ამის შემდეგ ამ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ ენერგიული მუშაობა გააჩაღა თანამგრძნობთა შორის.

ამ პარტორგანიზაციასთან არსებობს თანამგრძნობთა ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია 8 საუკეთესო კოლმეურნე, რომელთაც საქმით დაამტკიცეს თავიანთი უნარი და მონდომება.

პარტიულმა ორგანიზაციამ თანამგრძნობთა შორის მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის მათ მიამაგრა პარტიული ამხანაგები თ. ჯამასპიშვილი, გ. რობიტაშვილი და მ. ნატროშვილი, რომელთაც საჭიროდ მოჰკიდეს ხელი თანამგრძნობთა შორის მუშაობას. თანამგრძნობებთან ყოველდღიური მუშაობით მათ პარტიაში შესასვლელად მოამზადეს თანამგრძნობები რობიტაშვილი და ნ. ჯამასპიშვილი.

კოლმეურნეობის მემინდვრეობის № 3 ბრიგადაში მუშაობს ს. გოგლაშვილი, რომელიც თავისი ენერგიული და თავდადებული მუშაობით ყოველთვის გამოირჩევა. ის გეგმას ყოველთვის 200-240 პროცენტით ასრულებს. მაგ., თუ უნდა მოეხნა 1666 კვადრატული მეტრი, ის ყოველდღიურად ხნავს 4000 კვ. მეტრს. თოხნის საქმეშიც ის ყოველთვის მოწინავეა. 1250 მეტრის ნაცვლად თოხნის 3000 მეტრს. მას გასულ წელს გამომუშავებული ჰქონდა 468 შრომადღე, ხოლო მიმდინარე წლის 3 თვეში გამომუშავებული აქვს 102 შრომადღე.

პარტორგანიზაცია დაეხმარა მოწინავე კოლმეურნეს სოსო გოგილაშვილს, ამხ. გოგილაშვილი სტახანოველი გახდა. ივი დაწინაურებულ იქნა მემინდვრეობის № 3 ბრიგადის ბრიგადირად. ის არც თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას ივიწყებს, ყოველდღიურად მეცადინეობს თავის თავზე. მან შეიტანა განცხადება თანამგრძნობთა ჯგუფში მიღების შესახებ და პარტორგანიზაციამ უკვე მიიღო თანამგრძნობთა ჯგუფში.

პარტორგანიზაციამ არ უნდა შეანელოს დაწყებული საქმე. მათ კიდევ უფრო მეტად უნდა გააძლიერონ თანამგრძნობთა ჯგუფისადმი ნამდვილი პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება, რათა უკეთესად მოამზადონ თანამგრძნობები პარტიაში მისაღებად.

ქ. ბექაშვილი.

ჩამოყალიბდა პირველადი პარტიული ორგანიზაცია

სოფელ სამწერისის (ხაშურის რაიონი) კოლმეურნეობასთან 1936 წლამდე არსებობდა პირველადი პარტორგანიზაცია, მაგრამ ხალხის უკვე მხლებულმა მტრებმა, რომლებიც მაშინ მოკალთებული იყვნენ პარტიის ხაშურის რაიკომში, ეს ორგანიზაცია დაშალეს. აქტიური და პატიოსანი კომუნისტები ამხ. ს. ცხოვრებაშვილი და ნონაშვილი უდანაშაულოდ გარიცხეს პარტიის ლური კომიტეტის იანვრის ისტორიული პლენუმის შემდეგ საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომმა პარტიის რიგებში აღადგინა უდანაშაულოდ გარიცხული კომუნისტები. 16 მაისს ხაშურის პარტრაიკომის დადგენილებით აღნიშნულ კოლმეურნეობასთან ჩამოყალიბა პირველადი პარტორგანიზაცია.

ნ. გოგვერაძე

საქ. თბილისის საქმანძო პარტკაბინეტი.

სურათზე: პროპაგანდისტი ამხ. გ. ინწკირველი კონსულტაციას უწევს თბილისის დეპოს პროპაგანდისტად დაწინაურებულ ამხ. გოგლიძეს თემაზე—„როგორ იბრძოდნენ მუშები და გლეხები კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ".

ფოტო ა. ბუდენშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

პარტიული კაბინეტის მუშაობა უნდა გაძლიერდეს

პროპაგანდისა და აგიტაციის გაშლისა და აქტივის აღზრდის შემდგომში გაუმჯობესების საქმეში პარტკაბინეტის მოქნილ მუშაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

როგორ ეხმარება გეგეჭკორის რაიონის პარტიული კაბინეტი პარტიულ ორგანიზაციას სააგიტაციო მუშაობის გაშლაში?

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სუსტად. პარტიული კაბინეტის გამგე ამხ. ფანცულაია დაკმაყოფილდა პროპაგანდისტთა სემინარისა და საერთაშორისო თემაზე ორთოდოქსული ლექციის მოწყობით.

პროპაგანდისტთა სემინარს ხელმძღვანელობს ამხ. ვ. მიქაძე, რომელიც ცოცხლად და ხალისიანად ატარებს მეცადინეობას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი პარტიული კაბინეტის მუშაობისათვის.

პარტიულ კაბინეტთან ჩაშოყალიბებულ პროპსემინარში გაერთიანებული არიან ყველა ტიპის სკოლის პროპაგანდისტები. პროფსემინარი სკოლების ტიპების მიხედვით არ არის დაკომპლექტებული.

სემინარის მეცადინეობაზე პროპაგანდისტებს უხდებათ 20-25 კილომეტრის სიშორიდან ჩამოსვლა. ამიტომ ხშირია გაცდენები. მაგალითად, პროპაგანდისტი ამხ. ჯ. ჭობალია 3-ჯერ არ დასწრებია მეცადინეობას, ჯ. წოწორია 5-ჯერ, მ. ფონიავა — 6-ჯერ და ა. შ. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროპაგანდისტთა სემინარის დიდი ჯგუფის თემაში (შუა ადგილია) ჩაშოყალიბება, სადაც გაერთიანდებიან ტყლეურის, კურზუს, სალხინოს, თამაკონის, გურძეთის, ქინძის, დოშაყის და სხვა თემების პროპაგანდისტები.

პარტიული კაბინეტი უზრუნველყოფილი არ არის პოლიტიკური ლიტერატურით და საბჭოთა მწერლების თხზულებებით. საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომმა პარტიული კაბინეტის მუშაობა ისე უნდა გარდაჰქმნას, რომ იგი ყოველდღიურად ეხმარებოდეს რაიონის მთელ აქტივს. საქ. კ. პ. (ბ) XI პარტყრილობის მიერ პარტგანათლების საქმის გაუმჯობესების შესახებ მოცემული დირექტივების განსორციელებაში.

შ. ბარამია.

ნოე ბუაჩიძე

(1918—1938 წ.წ.)

მიმდინარე წლის ივნისში შესრულდა 20 წელი შესანიშნავი ბოლშევიკის, ამხანაგ ნოე გრიგოლის-ძე ბუაჩიძის გარდაცვალებიდან.

ნ. ბუაჩიძემ, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიამ აღზარდა, მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების საქმეს.

სამოქალაქო ომის დროს ამხ. ბუაჩიძე იყო ჩრდილოეთ კავკასიაში და აქ იგი ს. მ. კიროვის ხელმძღვანელობით მუშაობდა. მისი სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული, ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის მთელ ისტორიასთან.

ამხ. ნოე გრიგოლის-ძე ბუაჩიძე იყო თვალსაჩინო პარტიული მოღვაწე და ნიჭიერი ბოლშევიკი—ორგანიზატორი. იგი დაიბადა 1882 წელს ქუთაისის გუბერნიის ყოფ. შორაპნის მაზრის სოფელ ფარცხნალში. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოძრაობაში, რისთვისაც დათხოვნილ იქნა სკოლიდან; პროფესიით იგი იყო სახლობა მასწავლებელი, პარტიის წევრი—1900 წლიდან. პარტიის მეორე ყრილობიდანვე მიეძღვნა ბოლშევიკებს. 1905 წლის რევოლუციის დროს მან, ხარაგოულში ჩამოაყალიბა წითელი პარტიზანული რაზმები და იმავე დროს აწარმოებდა საანგარიშო და პროპაგანდისტულ მუშაობას საქართველოს სხვადასხვა ადგილებში. იგი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა რკინიგზელთა დეკემბრის გაფიცვის ორგანიზაციაში ამიერ-კავკასიის რკინიგზის სადგურ ბელაგორში, აგრეთვე მეფის ჯარისკაცების, კერძოდ მე-77 ტენგინის ქვეითი პოლკის მე-11 ასეულის განიარაღებაში.

რევოლუციაში შეიარაღებული მონაწილეობის მიღებისა და „ძველი-ბელაგორის რესპუბლიკის" (ხარაგოული) ორგანიზაციისათვის მეფის სატრაპებმა ბუაჩიძის სამქედო გადასცეს „კავკასიის სამხედრო სასამართლოს სომარი დროის კანონებით გასამართლებისათვის", მიუყენეს სამხედრო წესების 279 მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას. მაგრამ ნ. ბუაჩიძემ მოახერხა დაშალვა. 1906 წლის იანვარში იგი მამისონის უღელტეხილით გადავიდა გროზნოში და კავკავში, სადაც ავრეთვე ეწეოდა ხელმძღვანელ პარტიულ მუშაობას. 1906 წლის მაისში ნ. ბუაჩიძე გადავიდა დონის როსტოვში, სადაც გამძაფრებულ ბრძოლას აწარმოებდა ლიკვიდატორ-მენშევიკების წინააღმდეგ. რამდენიმე ხნის შემდეგ ნ. ბუაჩიძე კოვნოში ყალბი პასპორტით ქუთაისს მცხოვრების ივანე სამსონის-ძე აბულაძის სახელზე.



ბოლშევიკური პარტიის წევრობისა და რევოლუციური მოღვაწეობისათვის ნ. ბუაჩიძე და მოათავსეს ბუტირკის საპყრობილეში, მაგრამ საპყრობილეშიც ნ. ბუაჩიძეს თავი მამაცურად და მტკიცედ ეჭირა.

მოსკოვის პოლიცია ბევრი ეცადა, მაგრამ ვერ მოახერხა ნ. ბუაჩიძის პირადობისა და საქართველოში ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებაში მისი მონაწილეობის გამორკვევა. სასამართლოს, რომელიც შესდგა 1907 წლის დეკემბერში, გაასამართლა იგი 102 სხვ. მუხლებით, ე. ი. მხოლოდ რსდმპ წევრობისათვის და ბოლშევიკური პროპაგანდისათვის. ნ. ბუაჩიძეს მიუსაჯეს 4 წლის კატორღა და შემდეგ ციმბირში სამუდამოდ დასახლება. შემდეგ ნ. ბუაჩიძეს კატორღა შეუცვალეს პატიმართა ასეულით. იგი სასჯელს იხდიდა ვოლოგდის საპყრობილეში. საპყრობილიდან გაქცევის ცდისათვის ნ. ბუაჩიძეს დაადეს ბორკილები და ჩასვეს ცივ კარცერში. საპყრობილის მკაცრი რეჟიმის შედეგად ნ. ბუაჩიძე ტუბერკულოზით დაავადდა. 1910 წელს იგი გადასახლებულ იქნა ირკუტსკის გუბერნიის შორეულ ნაწილში, საიდანაც 1911 წლის მაისში გამოიქცა და ჩამოვიდა ჭუთაისში. აქ კვლავ დაიწყო არალეგალური პარტიული მუშაობა და ხშირად დაიპატიმრებდა ფოთში, ბათუმში და სხვ. ადგილებში. ქუთაისში ნ. ბუაჩიძე ცხოვრობდა ფერშალ მალაქია ბოლქვაძის ყალბი პასპორტით. იგი ატარებდა ფორმის ტანსაცმელს, რომ არ მიექცია პოლიციის ყურადღება. მიუხედავად ამისა, 1911 წლის სექტემბერში ჟანდარმებმა მიაგნეს ნ. ბუაჩიძის კვალს და შეიპრონეს მის კონსპირატიულ ბინაში, მაგრამ დაპატიმრება ვერ მოახერხეს. ნ. ბუაჩიძემ შესძლო დროზე მიმალვა და გაიქცა თბილისში, აქედან კი გადავიდა კავკავში, სადაც ელოდებოდა საქართველოდან უცხოეთის პასპორტის მიღებას. ამ პასპორტის მიღება მან მოახერხა ერთი ჰიპოთეკური მუშის დახმარებით. 1911 წელს ნ. ბუაჩიძე წავიდა კონსტანტინოპოლში, შემდეგ კი სამსუნში, სადაც ფრანგულ კოლეჯიაში ასწავლიდა რუსულ ენას. აქაც იგი ეწეოდა პარტიულ მუშაობას და გამოდიოდა აქ მყოფ ქართველ ნაციონალისტთა წინააღმდეგ.

1914 წლის იმპერიალისტური ომის დამლევს აგიტაციისათვის ნოეს დაუწყო დევნა თურქეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ და იგი ბერის ტანისამოსით გაიქცა ბულგარეთში. რამდენიმე თვის შემდეგ ჩადაველია შვეიცარიაში, ჟენევაში. აქ ის პირადად გაეცნო ბოლშევიკური პარტიის ფუძემდებელსა და დიდ ბელადს ლენინს. ვ. ი. ლენინი დიდი ნდობით მოეპყრო ნოე ბუაჩიძეს და ხელადვე მასში მტკიცე და პარტიის ერთგულ ბოლშევიკს. ბუაჩიძის სახელი ასაერთხელ არის ნახსენები ლენინის წერილებში. ასე, მაგალითად, 1916 წლის შემოდგომაზე ბერნიდან გაგზავნილ ერთერთ წერილში ლენინი ამბობს, რომ შვეიცარიის საქმეების შესახებ მან გაუგზავნა წერილი ნოე ბუაჩიძეს*).

საზღვარგარეთ ყოფნის დროს ნ. ბუაჩიძე ბეჯითად აღრმავებდა თავის მარქსისტულ ცოდნას და სწავლობდა ჟენევის უნივერსიტეტში. ნ. ბუაჩიძე ეწეოდა აგრეთვე პარტიულ მუშაობას ადგილობრივ მუშებში და არ სწყვეტდა პარტიულ კავშირს კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან.

1917 წ. თებერვლის რევოლუციის წინ ნ. ბუაჩიძე ისევ ჟენევაში იმყოფებოდა. ნათესავებისათვის მიწერილ ერთერთ წერილში იგი იწერებოდა ჟენევიდან, რომ იმპერიალისტური ომი არ შეიძლება გაგრძელდეს, რომ მას ბოლო მოეღება და გარდუვალია საჭმის რევოლუციით დამთავრებაო.

1917 წლის აპრილში ნ. ბუაჩიძე ემიგრაციიდან დაბრუნდა პეტროგრადში, ხოლო აქედან ამიერ-კავკასიაში, მოიარა სხვადასხვა ქალაქები (ქუთაისი, ზესტაფონი, ჭიათურა) და სოფლები, სადაც გააცნობა მოხსენებები მომდინარე მომენტზე და დაუნდობლად ააშკარავებდა მენშევიკების და ესერების, როგორც ბურჟუაზიის აგენტებისა და მუშათა კლასის საზიზღარი გამცემლების, კონტრრევოლუციურ პარტიებს.

1917 წლის მაისში ნოე ამიერ-კავკასიიდან გადავიდა მისთვის მახლობელ და კარგად ცნობილ თერგის მხარეში, ქალაქ კავკავში.

ჩრდილოეთ კავკასიაში ნ. ბუაჩიძე ეწეოდა დაბადებულ პარტიულ მუშაობას განსაკუთრებით რთულ ვითარებაში. ბუაჩიძე თერგის ბოლშევიკური ორგანიზაციის მიერ 1917 წელს წამოყენებულ იქნა დამფუძნებელ კრებაში თერგ-დაღისტნის საარჩევნო ოლქის კანდიდატად. იგი დამფუძნებელ კრებაში პირველი გადიოდა რსდმპ (ბოლშევიკების) № 7 სიით.

1917 და 1918 წლებში ბუაჩიძე იყო ლენინის რწმუნებული ჩრდილოეთ კავკასიაში. მას ჰქონდა ლენინის მანდატი და უშუალოდ იღებდა მისგან დირექტივებს. ამხ. ნ. ბუაჩიძე სარგებლობდა მუშების, მთიელი ღარიბი მოსახლეობისა და ჯარისკაცების მშრომელი მასების განსაკუთრებული სიყვარულითა და თავდადებით. ნ. ბუაჩიძე იყო თერგის ოლქის ხალხების მოზდოკსა და პიატიგორსკის ყრილობების ჩატარებაში.

თერგის ოლქის ხალხების მოზდოკის ყრილობაზე, რომელიც თერგზე საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მოსამზადებელი და გარდამავალი საფეხური იყო, ამხ. ნ. გ. ბუაჩიძე აირჩიეს თერგის დროებითი სახალხო საბჭოს წევრად, ხოლო მალე დანიშნულ იქნა თერგის ოლქში რევოლუციური წესრიგის ორგანიზაციისა და დაცვის კოლეგიის თავმჯდომარედ.

პიატიგორსკის საბჭოების ყრილობის მიერ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნ. ბუაჩიძე, ერთხმად არჩეულ იქნა თერგის რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს პირველ თავმჯდომარედ. რევოლუციის ამ საპასუხისმგებლო, საპატიო და საბრძოლო თანამდებობაზე მან დაჰყო სიკვდილამდე. 1918 წლის 20 ივნისს, როდესაც წითელარმიელებს მომართავდა სიტყვით, ნ. ბუაჩიძე ვეროგულად ჩაკლულ იქნა ყაზახ კონტრრევოლუციონერების მიერ.

ნ. ბუაჩიძეს ერთერთი შენობის სახურავიდან ესროლეს სამი ტყვია. იგი სასიკვდილოდ დაიჭრა. საავადმყოფოში ნ. ბუაჩიძე რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა.

ასე დაეცა რევოლუციის საგუშაგოზე მასების ეს გამოჩენილი ორგანიზატორი. ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ერთერთი ორგანიზატორი და თერგის რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობის მეთაური.

ნოე დასაფლავებულია სამშობლო სოფელ ფარცხნალში, სადაც მან გაატარა თავისი უსიხარულო ბავშვობა და სადაც პირველად დაიწყო მისი საბრძოლველი ბოლშევიკური მოღვაწეობა.

უკვე 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ხალხის მტრებმა მოჰკლეს ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, ამხ. ნოე ბუაჩიძე, მაგრამ მისი სახელი ცოცხლობს და ყოველთვის იცოცხლებს მშრომელ ხსოვნაში, როგორც ლენინ-სტალინის საქმისათვის, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების საქმისათვის თავდადებული მებრძოლის სახელი.

ი. ნიკოლოვი.

*) ლენინის კრებული. ტომი III. გვ. 476. მეორე გამოცემა, მოსკოვი—ლენინგრადი.

დუშეთის აჯანყების ხელმძღვანელნი

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ—მიხა პაპუნაშვილი, თედო შუშიაშვილი და თომა ჩუბინიძე.

დუშეთის აჯანყება

(1918—1938)

ცარიზმის ბატონობის დროს ამიერ-კავკასია და კერძოდ საქართველოც წარმოადგენდა ეკონომიურად ჩამორჩენილ მხარეს, „აგრარულ ქვეყანას ცოტად თუ ბევრად განვითარებული სავაჭრო ცხოვრებით განაპირა კუთხეებში, ზღვების ნაპირებთან და წმინდა ბატონყმური წყობის ჯერ კიდევ მტკიცე ნაშთებით ცენტრში" (ი. სტალინი).

ამიერ-კავკასიის ეს თავისებურება დარჩა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგაც. საქართველოს მუშებისა და გლეხების მდგომარეობა უცვლელი დარჩა.

მოექცნენ რა ხელისუფლების სათავეში, ქართველმა მენშევიკებმა კავშირი შეჰკრეს შეძლებულ კლასებთან, მტკიცედ იცავდნენ მემამულე თავადაზნაურებისა და ვაჭარ-კაპიტალისტების სასიცოცხლო ინტერესებს.

ოქტომბრის რევოლუციამ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკისათვის ითამაშა უდიდესი გამარევოლუციონერებელი როლი. მან აამოძრავა დაჩაგრული მასები ხელისუფლების მოპოვებისათვის საბრძოლველად. საქართველოს მუშები და გლეხებიც სასტიკ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკურ კონტრრევოლუციურ მთავრობის წინააღმდეგ.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, 20 წლის წინათ — 1918 წელს, მოწყობილი იქნა დიდი აჯანყება დუშეთის ყოფილ მაზრაში, მენშევიკური კონტრრევოლუციური დიქტატურის წინააღმდეგ.

დუშეთის აჯანყებაზე დიდი გავლენა იქონია თბილისის პროლეტარიატის სიახლოვემ. 1918 წლის დასაწყისიდანვე შემჩნეული იყო დუშეთის მაზრის გლეხთა უკმაყოფილების ზრდა. გლეხები ისევ ისე იხდიდნენ ღალას მემამულეების სასარგებლოდ. მენშევიკების — აგრარულ პოლიტიკამ დუშეთელ გლეხებს არ მისცა მიწა, მენშევიკური დიქტატურა ფეხქვეშ თელავდა მშრომელი გლეხობის ადამიანურ უფლებებს.

ჩ.კ.პ. (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და თბილისის კომიტეტმა გააძლიერეს მუშაობა აჯანყების მომზადებისათვის. ბოლშევიკი-პროპაგანდისტები დადიოდნენ დუშეთის მაზრის ყველა სოფელში, სადაც ხვდებოდნენ გლეხთა რევოლუციურ ენტუზიაზმს. ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციების აზრით, დუშეთის აჯანყება უნდა დაეკავშირებინათ საქართველოს სხვა კუთხეებში აჯანყების დაწყებისათვის საქართველოს მენშევიკური კონტრრევოლუციური დიქტატურის დასამხობად. ჩ. კ. პ. (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის კავკავში გადასვლის შემდეგ (1918 წ. მაისი) დუშეთის სამაზრო ბოლშევიკურ კომიტეტს კავშირი ჰქონდა თბილისის ბოლშევიკურ ბიუროსთან. შეძენილ იქნა გლეხებისათვის საბრძოლო იარაღები და ვაზნები.

შეიარაღებული აჯანყებისათვის ბოლშევიკების მზადება შეუმჩნეველი არ დარჩა მენშევიკური მთავრობისათვის. მენშევიკებმა მოინდომეს რევოლუციური გლეხების გაიარაღება. 15 ივნისს, თბილისის გუბერნიის კომისარმა ჯაფარიძემ გასცა განკარგულება გლეხთა გაიარაღების შესახებ.

დუშეთის მაზრის მილიციის უფროსი ჟორდანია შეუდგა განკარგულების შესრულებას. მან 16 ივნისს იარაღი აჰყარა სოფ. მისაქციელს გლეხობას და მოსთხოვა იარაღი სოფ. წილკანის გლეხებს; ამ სოფლის გლეხებმა დახმარება სთხოვეს ახლო-მახლო სოფლებს მენშევიკური ჯარებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გასაწევად. გლეხებმა გაამაგრეს სოფ. წილკანი და მთავრობის რაზმი, გლეხების გასაიარაღებლად მოსული, ტყვედ ჩაუგარდათ რევოლუციურ გლეხებს. ამრიგად 17 ივნისს დაიწყო შეიარაღებული აჯანყება დუშეთის მაზრაში. აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ ფრონტიდან დაბრუნებული ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცები. 19 ივნისს შესდგა აჯანყებულთა სამხედრო შტაბი ამხ. თომა ჩუბინიძის და მიხა პაპუნაშვილის ხელმძღვანელობით. აჯანყებულთა შტაბი შეუდგა ფიცხელ მზადებას მენშევიკური ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად და 19 ივნისს მათ დიდი ზარალით დაამარცხეს პოლკოვნიკ ფურცელაძის ათასეული.

25 ივნისს მოწვეულ იქნა დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების ყრილობა. ყრილობამ დუშეთის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა და აირჩია სამაზრო აღმასკომი ამხ. თედო შუშიაშვილის თავმჯდომარეობით.

დუშეთის აჯანყებამ ძალიან შეაშინა ქართველი მენშევიკები. მენშევიკურმა მთავრობამ 27 ივნისს მოწოდებით მიმართა „გვარდიას" და შეუდგა აჯანყებულთა წინააღმდეგ ჯგვაროსნული ომის მოწყობას.

დუშეთის აჯანყებულების წინააღმდეგ მენშევიკებმა გაგზავნეს ჯარები საზიზღარი ჯალათების — გ. ჯუღელის, ალ. დგებუაძის, კონიევის და გედევანოვის მეთაურობით. მენშევიკური გვარდია და ჯარი სამი მიმართულებით უტევდა აჯანყებულებს. დუშეთის სამაზრო აღმასკომი და სამხედრო შტაბი აწყობენ დუშეთის გმირულ თავდაცვას. ყაზბეგიდან დუშეთში გადმოიტანეს 2 ქვემეხი და რამდენიმე ტყვიამფრქვევი. სამაზრო აღმასკომმა ამხ. თ. შუშიაშვილის ხელმოწერით 1918 წ. 1 ივლისს გამოსცა ბრძანება № 1 მენშევიკური კონტრრევოლუციური მთავრობის აგენტების და პროვოკატორების წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღების შესახებ.

სასტიკი ბრძოლების შემდეგ, 6 ივნისს მენშევიკურმა ჯარმა დაიკავა სოფ. ჟინვალი და შემდეგ კი ქ. დუშეთი. მიუხედავად ამისა, აჯანყებულები განაგრძობენ კიდევ უფრო გმირულ ბრძოლას. ამიტომ სწერდა საზიზღარი ჯალათი ვ. ჯუღელი 1918 წ. 8 ივლისს: „გააფთრებული ბრძოლაა. მტერი იკავებს სიმაღლეებს და ყოველ მხრიდან გვესვრის ჩვენო".

9 ივლისს დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა გამოსცა მოწოდება, რათა უკანასკნელ მომენტში ეხსნა აჯანყება, გადაერჩინა დუშეთის მაზრის ნორჩი საბჭოთა ხელისუფლება.

რ.კ.პ. (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა აჯანყებულებს მიაშველა ამხ. საშა გეგეჭკორის რაზმი, მაგრამ ეს მოხდა იმ დროს, როცა აჯანყება დამარცხების კარებზე იყო მისული. საშა გეგეჭკორის რაზმს არ შეეძლო მოეხდინა არსებითი გარდატეხა აჯანყების მიმდინარეობაში. რაზმი 13 ივლისს თავგანწირულად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. კულაკურმა ჯგუფმა გზა გადაუჭრა სოფ. გველეთთან ამხ. საშა გეგეჭკორის რაზმს, რომელსაც ბრძოლა უხდებოდა ათჯერ უფრო მრავალრიცხოვანი მენშევიკური ჯარების წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში დამარცხდა ბოლშევიკური რაზმი და მან 15 ივლისის შეტაკების შემდეგ ბრძოლით დაიხია უკან კავკავისაკენ. აჯანყებულები, რომელთაც შემოაკლდათ საბრძოლო მასალები და დამარცხდნენ უთანასწორო ბრძოლაში, გაიხიზნენ მთები და განაგრძობდნენ პარტიზანულ ბრძოლას მენშევიკური ჯარების წინააღმდეგ. აჯანყება გაგრძელდა 7 აგვისტომდე. მენშევიკი ჯალათები სისტიკად სჯიდნენ რევოლუციონერებს. სახიზღარ ჯალათ ჯუღელის მიერ დახვრეტილ იქნენ ამხ. თომა ჩუბინიძე, მიხა პაპუნაშვილი, მიშა გეგეჭკორი და სხვა მრავალნი. ამაზე ამხ. საშა გეგეჭკორი სწერდა: „ყველა დახვრეტილ ამხანაგებს თავი ეჭირათ, როგორც ჰეშმარიტ რევოლუციონერებს, სიკვდილის დროს ისინი გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!" („ა. გეგეჭკორის წარსულიდან", „კომუნისტი" № 132, 1928 წ. 9 ივნისი).

მენშევიკებს აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდნენ გერმანელი ინტერვენტები — სამხედრო ინსტრუქტორებით, საბრძოლო იარაღებითა და თვითმფრინავებით. სწორედ ამიტომ ამბობდა ვ. ი. ლენინი, რომ გერმანელების კავშირი ქართველ მენშევიკებთან „იყო გერმანელთა ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკ მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ" (ციტირებულია ბროშურიდან: ლ. ბერია ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება).

მიუხედავად დამარცხებისა, დუშეთის აჯანყებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო რევოლუციური გლეხების ბრძოლა თავისი ადამიანური უფლებების მოპოვებისათვის.

ეხებოდა რა გლეხთა რევოლუციური მოძრაობების საკითხს ამიერ-კავკასიაში, ამხანაგი სტალინი 1918 წ. სწერდა:

„ფრონტიდან დაბრუნებულმა ამიერკავკასიელმა ჯარისკაცებმა სოფლებს

ჩაურევლობის კომიტეტში

ლონდონი, 24 ივნისი (საკდესი). როგორც ცნობილია, ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარესთან არსებული ქვეკომისიის წინა სხდომაზე მიღებულ იქნა ფორმულა საზღვაო კონტროლის ხასიათის საკითხზე, რაც აკმაყოფილებდა საბჭოთა კავშირის მოთხოვნას ეფექტური საზღვაო კონტროლის დაწესების შესახებ.

24 ივნისს შესდგა ჩაურევლობის კომიტეტის თავმჯდომარესთან არსებული ქვეკომისიის სხდომა, რომელზეც მიეძღვნა, უმთავრესად, მდივნის მიერ ამ ფორმულის საფუძველზე შემუშავებულ პრაქტიკულ წინადადებათა განხილვას.

ამხ. კაგანმა აღნიშნა, რომ მდივნის წინადადებანი შეიცავენ არსებითს ნაკლს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ჯეროვნად ვერ უზრუნველჰყოფენ ესპანეთის ნავსადგურების კონტროლს. კონტროლის ქვეშ იქნება მხოლოდ 8 ნავსადგური, სადაც დაწესებული იქნება მუდმივი საკონტროლო პუნქტები. ამ წინადადებათა მიღება იმ სახით, როგორც წარმოდგენილია, იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ კონტროლი ფაქტიურად ამ რვა ნავსადგურით შემოიფარგლე-ბოდა. ეს,—აღნიშნა ამხ. კაგანმა,—ეწინააღმდეგება ქვეკომისიის წინა სხდომის გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებდა აუცილებლობას, რათა ზოგიერთ ნავსადგურში მუდმივ კონტროლიორების ყოლასთან ერთად უზრუნველყოფილიყო კონტროლიორების მუდმივი ყოფნა ყველა დანარჩენ ნავსადგურში.

ამიტომ ამხ. კაგანი სთელის, რომ მდივნის მიერ წარმოდგენილი პროექტი უნდა გადამუშავდეს ქვეკომისიის წინა სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად. ლორდმა პლიმუტმა შემოიტანა წინადადება—დაევალოს მდივანს გადაამუშაოს მის მიერ წარმოდგენილი პროექტი. ეს წინადადება მიღებულ იქნა.

შემდეგი სხდომა 28 ივნისს შესდგება.

◇ ◇ ◇

მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 25 ივნისი (საკდესი). გუშინ გაიმართა მთავრობის კოალიციაში შემავალი პარტიების ხელმძღვანელთა და ჩეხოსლოვაკიის ორივე პალატის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც გოჯამ მოხსენება გააკეთა სუდეტელ გერმანელთა პარტიასთან მოლაპარაკების შესახებ. შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი კროფტა გამოვიდა მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. თათბირმა გამოიტანა გადაწყვეტილება დეპუტატთა პალატასა და სენატში ნაციონალურ უმცირესობათა კოდექსის განხილვის წესისა და იმის შესახებ, რომ თვით მოლაპარაკების დამთავრებამდე რეგულარულად ხდებოდეს მთავრობის კოალიციაში შემავალ პარტიათა წარმომადგენლების თათბირის მოწვევა. ამით ამ პარტიების ხელმძღვანელობა მთავრობასთან ერთად გაიწაწევებს პასუხისმგებლობას ჰენლაინელებთან წარმოებული შემდგომი მოლაპარაკებისათვის.

დღეს გამოქვეყნდა სუდეტელ გერმანელთა პარტიის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ ჰენლაინელთა პარტიის შემორანდუმში აღნიშნული წინადადებანი იმ მინიმუმს წარმოადგენენ, რომლისგანაც ჰენლაინელები არ დაიხევენ. ამავე დროს ჰენლაინელთა პრესა სასტიკ პროტესტს აცხადებს მთავრობის იმ განკარგულების წინააღმდეგ, რომელიც უკვე გამოქვეყნდა და რომელიც ითვალისწინებს პოლიციის ძალების გაძლიერებას მოსაზღვრე რაიონებში და პოლიციისა და ჟანდარმერიის ახალი უბნების შექმნას.

◇ ◇ ◇

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რეზოლუცია

პრაღა, 25 ივნისი (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რეზოლუცია, რომელიც მიძღვნილია სუდეტელ გერმანელთა ოლქის მდგომარეობისა და ნაციონალურ უმცირესობათა კოდექსის შესახებ წარმოებული მოლაპარაკებისადმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მოითხოვს, რათა დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს ნაციონალურ უმცირესობათა კოდექსი, ფართოდ გაანიხილოს იგი ხალხმა და მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიის დამცველი ყველა პარტიის წარმომადგენლებმა, მათ შორის კომუნისტების წარმომადგენლებმაც. მოჰყავს რა რეზოლუციაში ჰენლაინელთა მიერ ადგილებზე ჩადენილი ტერორის ფაქტები, პოლიტბიურო მოითხოვს, რომ მთავრობამ სასწრაფო ღონისძიებები გაატაროს სუდეტელ გერმანელთა ოლქში მტკიცე რესპუბლიკური წესრიგის დასამყარებლად, კერძოდ, დაშალოს ჰენლაინელთა პარტიის ფაშისტური მოიერიშე რაზმები (ფ. ს.), დაიცვას მოსახლეობა ყოველგვარი სახის—ეკონომიური, მოლურჯი და ფიზიკური ტერორისაგან, სასტიკ პასუხისგებაში მისცეს ტერორისტები და პროვოკატორები, შესწყვიტოს ჰენლაინელთა თავისუფლად გადასვლა გერმანიის ტერიტორიაზე და უკან დაბრუნება და ა. შ.

დასასრულ პოლიტბიურო შთუწოდებს ყველა ეროვნების მშრომელ მოსახლეობას შეჰქმნას მძლავრი ანტიფაშისტური დემოკრატიული ფრონტი ფაშიზმთან და ჩეხიის რეაქციის ბანაკის კაპიტულანტებთან საბრძოლველად.

◇ ◇ ◇

ალვარეს დელ ვაიოს განცხადება

ლონდონი, 25 ივნისი (საკდესი). როგორც „ტაიმსის“ დიპლომატიური მიმომხილველი იუწყება, ესპანეთის ელჩი ასკარატე გუშინ კადოგანთან (შინაგან საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე) შეხვედრისას შეეკითხა მას, თუ როგორ მიმდინარეობს ინგლისის იმ წინადადების რეალიზაცია, რომელიც შეეხება საერთაშორისო კომისიის გაგზავნას ფაშისტთა ავიაციის მიერ ესპანეთის დაუცველი ქალაქების ბომბარდირებათა შედეგების გამოსაკვლევად. ასკარატემ განაცხადა, რომ თუ ამჟამად ბომბარდირება არ შესწყდება, მაშინ ესპანეთის მთავრობა დაუყოვნებლივ მიმართავს რეპრესალიებს. რეპრესალიების გამოსაყენებელ ობიექტებად, განაგრძობს მიმომხილველი, შესაძლოა არჩეულ იქნას ბურგოსი და სალამანკა, რამდენადაც ფაშისტთა ავიაციის თავდასხმები, კერძოდ, ამ პუნქტებიდან ხდება. კადოგანმა განუცხადა ესპანეთის ელჩს, რომ ინგლისის მთავრობა ცდილობს დააჩქაროს კომისიის გაგზავნა საქმის გამოსაკვლევად.

ეხება რა ჩაურევლობის კომიტეტის ქვეკომისიის გუშინდელ სხდომას, მიმომხილველი სწერს, რომ მან იმედი გაუცრუა იმით, ვინც ჩაურევლობის კომიტეტის მუშაობაში მოელოდა გარდატეხას, აგრეთვე იმით, ვინც რომთან თანამშრომლობის დადებითს შედეგებს მოელოდა.

როგორც „ტაიმსის“ ბარსელონელი კორესპონდენტი იუწყება, ალვარეს დელ ვაიოსთან საუბრის დროს უკანასკნელმა განუცხადა მას, რომ ესპანეთის მთავრობა მაქსიმალური ყურადღებით შეისწავლის უცხოელთა გაწვევის გეგმას. ესპანეთის მთავრობა სრული თანაგრძნობით მოეკიდება ყოველგვარ წინადადებას, რომელიც ნამდვილად იქნება მიმართული იქითკენ, რომ შეიცირდეს უცხოელთა ჩარევა ესპანეთში. მაგრამ, დასძინა მან, ილუზია იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ინგლისის გეგმა თავისთავად უზრუნველჰყოფს პრობლემის გადაჭრას. არავითარ გეგმას არ ექნება წარმატება ისე, თუ დიდმა სახელმწიფოებმა მტკიცედ არ გადასწყვიტეს აიძულონ გერმანია და იტალია რადიკალურად შესცვალონ თავიანთი პოლიტიკა ესპანეთის მიმართ.

◇ ◇ ◇

სახალხო ფრონტის ნაციონალური კომიტეტის სხდომა

პარიზი, 24 ივნისი (საკდესი). გუშინ შესდგა სახალხო ფრონტის ნაციონალური კომიტეტის სხდომა, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს სახალხო ფრონტში შემავალი ძირითადი პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. როგორც „ლუმანიტე“ იუწყება, კომუნისტები გამოვიდნენ დეკლარაციით. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ გადასაზადების გადიდება და დევალვაციები, რომლებიც რამდენჯერმე გაატარა მთავრობამ უკანასკნელ დროს, სრულიადაც არ შეესაბამებიან სახალხო ფრონტის პროგრამას. სულ უფროდაუფრო შორდებოდა სახალხო ფრონტის პროგრამას მთავრობის საგარეო პოლიტიკაც.

კომუნისტური პარტია წინადადებას იძლევა, რომ სახალხო ფრონტის პროგრამას დაემატოს შემდეგი მოთხოვნები: კაპიტალისტური ტრესტებისა და მონოპოლიების ნაციონალიზაცია გამოუსყიდველად, დაწყებული დამზღვევი საზოგადოებებითა და ელექტრონის კომპანიებით; კაპიტალისტური საწარმოებისა და ბანკების კონტროლი სპეკულაციისა და ფასების გადიდების წინააღმდეგ ბრძოლისათვის; დიდ ქონების პროგრესიული დაბეგვრა; დეპუტატთა პალატისა და სენატის არჩევნების კანონის დემოკრატიზაცია.

კომუნისტთა რეზოლუცია უარყოფილ იქნა რადიკალებისა და სოციალისტების მიერ.

14 ივლისს (ბასტილიის აღების დღეს), ისევე, როგორც წინა წლებში, გაიმართება სახალხო ფრონტის საერთო მანიფესტაცია. მაგრამ რადიკალ სოციალისტთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი პარტია მანიფესტაციაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას, თუ მანიფესტაციაში ოფიციალურად იქნება წარმოდგენილი მთავრობა.

◇ ◇ ◇

ფაშისტთა ავიაციის თავდასხმა 33-ჯერ

პარიზი, 25 ივნისი (საკდესი). ესპანის სააგენტო ბარსელონიდან იუწყება, რომ 25 აპრილიდან 23 ივნისამდე ფაშისტთა ავიაციამ ოცდაათჯერ მიიტანა იერიში უცხოეთის 28 სავაჭრო გემზე. ამ გემებიდან 11 ჩაიძირა. მოკლულია 17 მეზღვაური.

დედათა და გავშვთა დაცვის საველე-კვლევითი ინსტიტუტის გავშვთა ბაგა თბილისში ერთერთი სანიმუშო ბაგაა.

★

აქ საუცხოოდ უვლიან გავშვებს. სხვადასხვა ასაკის გავშვისათვის შერჩეულია ნაირნაირი სათამაშოები.

★



ესეც თავისებურად ერთობა.

★

აბორტების აკრძალვის შესახებ სახელმწიფო კანონის გამოცემის შემდეგ დაბადებათა რიცხვმა ჩვენს ქვეყანაში შეუდარებლად იმატა. ბავშვებისათვის ყველგან შეიქმნილია ალაზრდის საუკეთესო პირობები.

სურათზე: ბავშვები მდ. კოლაგაზე (სვეკრდლოვის ოლქი).

ფოტო-ეტიუდი ვ. შეხლევიჩის („სოიუზფოტო“).

ახალი საბავშვო ბაგები

ქუთაისი, 25 ივნისი (საქდესი). ქუთაისში, სტალინის ქუჩაზე, მდინარე რიონის პირად აგებულია ახალი ორსართულიანი ლამაზი შენობა. ეს შენობა განკუთვნილია ქალაქის საბავშვო ბაგებისათვის. ბაგები მოემსახურებიან 54 ბავშვს. ბაგების მოწყობა უკვე დამთავრებულია.

გაიხსნა ახალი საბავშვო ბაგა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატთან 36 ბავშვისათვის.

საბავშვო ბაგა გაიხსნა აგრეთვე კურორტ წყალტუბოში. იგი მოემსახურებას უწევს კურორტის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებს.

საბავშვო ბაგები მთთავსებულია სუფთა, განიერ და კარგად მოწყობილ სადგომებში.

—○—

პიონერთა გამაჯანსაღებელი მოედნები

პირველი ივლისიდან სოხუმში იხსნება პიონერთა 5 გამაჯანსაღებელი მოედანი 500 პიონერისა და მოსწავლისათვის. ბავშვები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებითა და ყოველგვარი მოწყობილობით. პიონერთა ხელმძღვანელებად გამოყოფილი არიან მასწავლებლები. მოედნებზე პიონერები ჩაებარებენ ნორმებს „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“, მოაწყობენ ექსკურსიებს, თვითმომქმედ საღამოებს, საუბრებს, ზღვაში ბანაობას. აგრეთვე მოედნებზე დაარსდება მომღერალთა, მოცეკვავეთა და სხვა წრეები. საღამოობით მოეწყობა კონცერტები და კინოსურათების ჩვენება.

—○—

მოსწავლეთა ზეიმი

სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით, 21 ივნისს სოხუმში ჩატარდა სოხუმის სკოლების მოსწავლეთა საქალაქო ზეიმი.

აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა მოსწავლეთათვის მოაწყეს საღამო-კონცერტი, მოეწყო აგრეთვე მასობრივი ცეკვა-თამაში, ატრაქციონი. კინო-თეატრ „აფსნიში“ აჩვენეს ხმოვანი კინოსურათი. ქალაქის სტადიონზე შესდგა მოსწავლეთა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში და ფრენბურთში.

ზეიმით ბავშვები დიდად კმაყოფილი დარჩნენ.

◇

შემთხვევები

დამნაშავის გამოცხადება. 24 ივნისს, რესპუბლიკის მილიციის სისხლის სამართლის სამმართველოს მორიგესთან გამოცხადდა მოქ. ვ. ა. ბასიაევი. ბასიაევმა მორიგეს განუცხადა, რომ ის მუშაობდა მალო კარაჩაევსკის რაიონის სოფ. ურუკიანში „სოიუზზაგოშერსტის“ განყოფილების ძოვახგარიშედ. თებერვლიდან მაისამდე მან იქ 5.300 მანეთი სახელმწიფო ფული გაფლანგა და მიიმალა. გამოძიება სწარმოებს.

ჟურნის დაპატიმრება. 24 ივნისს, მოქ. თ. ა. თარხნიშვილის ბინაში (გრიბოედოვის ქ., № 4) ფანჯრის გატეხის საშუალებით შეიპარა უცნობი პირი. მან 5.000 მანეთის ღირებული სხვადასხვა ნივთები ძიიპარა და წავიდა. მაგრამ თეატრალურ შესახვევში იგი დააკვეს მილიციის მე-10 განყოფილების თანამშრომლებმა. ის აღმოჩნდა რ. გ. კილაძე, რომელსაც ქურდობის რამდენიმე რეგისტრაცია აქვს. მას ნივთები ჩამოართვეს და დაზარალებულს დაუბრუნეს.

ქურდი დაპატიმრეს.

სალიტერატურო წრეების საქალაქო შეკრება

ამ დღეებში მწერალთა სასტუმრო—ტარდა თბილისში არსებული ლიტერატურული წრეების მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. წვერავა.

მან ილაპარაკა ლიტერატურული წრეების მიერ მთელი წლის განმავლობაში გაწეულ მუშაობაზე და კარგად დაახასიათა პლეხანოვის კლუბთან არსებული ლიტერატურული შემოქმედებითი წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს პოეტი ვ. გორგაძე, მასწავლებელთა სახლთან არსებული ლიტერატურული შემოქმედებითი წრე, რომელშიც შემოკრებილია ახალგაზრდა მწერლების, კრიტიკოსების და ლიტერატურის მოყვარულთა ძირითადი კადრები. ილაპარაკა აგრეთვე განსაკუთრებით მოზრდილთა პირველი საშუალო სკოლის, ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკის, ვოროშილოვის სახელობის კლუბის, 26 კომუნარის ქარხნის ლიტერატურული წრეების მუშაობაზე. მომხსენებელი განსაკუთრებით შეჩერდა საქ. მწერალთა კავშირთან არსებულ რუსული ლიტერატურული წრის ნაყოფიერ მუშაობაზე, რომელსაც ხელძღვანელობს პოეტი გ. კრეიტანი. ამ წრეს ჰყავს ენერგიული ახალგაზრდა დამწყები მწერლები: ნ. კარაკოვიჩი, პირადოვი, რეტივის და სხვ.

საინტერესო მოხსენება გააკეთა პოეტმა ამხ. ვ. გოფრინდაშვილმა ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაზე. მან მკაფიოდ და ამომწურავად დაახასიათა ახალგაზრდა მწერლების ძირითადი კადრის შემოქმედება. კარგად დაახასიათა ახალგაზრდა მწერლები: შ. ამისულაშვილი, რ. მარგიანი, გ. ჯაბუშანური, ცხვედიანი და სხვ. საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები: ვ. გორგაძე, ი. იმედაშვილი, ერ. ასტვაცატუროვი, ს. აბულაძე, იასამანი, გ. კრეიტანი, გაზეთ „ვეჩერნია თბილისის“ რედაქტორი ამხ. ანანეკო და წრის წევრები. გაკრიტიკებულ იქნა მთელი რიგი წრეების მუშაობა. ზოგიერთ წრეს არა აქვს ზუსტი საბეცდნიო პროგრამა, ზოგან მთლად ჩაშლილია მუშაობა (ბარეშუმსაქსოი ფაბრიკა, მილიციის კლუბი და სხვ.).

საღამოზე თავიანთი ნაწარმოებები წაკითხეს ახალგაზრდა მწერლებმა: ან. თევზაძემ, მ. გელოვანმა, ვლ. უბილავამ, ვ. ლომიძემ, ი. ნონეიშვილმა, ვლ. სულაბერიძემ და ლიტერატურული წრის წევრებმა: რ. გურამიშვილმა, ცალილიშვილმა, ალ. ჭიაურამ, ჭიჭოშვილმა და სხვებმა.

—○—

ფეხბურთი

„დინამო“ (თბილისი)—„სტალინეცი“ (მოსკოვი)

მოსკოვი, 26 ივნისი (საკ. კორ.). დღეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები შეხვდნენ საზ-ბი „სტალინეცის“ (ქუიბიშევის სახელობის ელექტროკომბინატი) ფეხბურთელებს. დაძაბული თამაშის შემდეგ მატჩი ყაიმით დამთავრდა ანგარიშით 0:0.

—○—

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

27 ივნისს:

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის წინააღმდეგობის ლიკვიდაციის შესახებ. ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. გ. კიკნაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ალკ კაბინეტი — კონსულტაცია თემებზე: 1) ჩინეთი ხალხის ბრძოლა იაპონელ ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ. რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. კრეიტანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 2) საკ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობა. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1535547, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მიერ მიზილ ყაზარის-ძე დალაქიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის პროსპ., 135	ახალი ხმოვ. მხატვრული ფილმი **ზაგვეზური** სეანსი. დასაწყ. კომკავშირელის სახ. ფაფ. შენ. 9, 11 ს. სეანს. დასაწყ. ოქტომბრის და კომკავშირელის სახ. შენ. 6-30, 8-30, 10-30
კომკავშირელი პლეხანოვის პროსპ., 91	საზამთ. შენ. **ბაქოელები** დასაწყ. 6-30 საზაფხ. შენობ. **ლენინი ოქტომბერში**
დამკვრელი პლეხანოვის პროსპ., 125	ხმოვანი ფილმი **დარიკო** დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის, 8	ახალი ხმოვანი ფილმი **კოგხოლოლსი** დასაწყ. 6-30
სპარტაკი რუსთაველის პროსპ., 23	საზამთ. შენ. **ოჩი მეგობარი** საზაფხ. შენობაში **ბედრო** და **უცხოელი ქალი**
26 კომ. სახ. (საზათ. შენ.) მაუმიანის. მოედანი	ახალი ხმოვანი ფილმი **ბაქოელები** დასაწყ. 6-30
არსენ კომუნალური ქ., № 9	ხმოვანი ფილმი **ჰუგარო ვი** დასაწყისი 9 საათზე
კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222	ხმოვ. ჟურნ. **საბჭოთა საძართველო № 5**
ახალი ამბები პლეხანოვის პროსპ., 125	

რკინიგზის გრანსპორტის თბილისის ამხ. ბერიას სახელობის ტექნიკუმი

აცხადებს 1938/39 სასწავლო წლის საშუალო გზემოდგომო მილებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. მოძრაობის ორგანიზაცია და ტვირთზიდვა (ქართული და რუსული სექტ.).
2. საგზაო მეურნეობა (ქართული და რუსული სექტორი).
3. სცს (სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება) (ქართული სექტორი).

სწავლის კურსი ოთხწლიანია.

ტექნიკუმში მიღებულ იქნებიან ორივე სქესის მოქალაქენი ასაკით 15-დან 30 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლის კურსი ან საშუალო სკოლის 7 კლასი.

ვისაც დამთავრებული აქვს არასრული საშუალო სკოლის კურსი ან საშუალო სკოლის 7 კლასი და ძირითად საგნებში აქვთ „ფრიადები“, ხოლო დანარჩენ საგნებში არანაკლებ „კარგისა“, მიღებული იქნებიან უგამოცდოდ.

ყველა დანარჩენები დაშვებულ იქნებიან გამოცდებზე შემდეგ საგნებში: მათემატიკაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), ფიზიკასა და გეოგრაფიაში.

ქართულ სექტორზე შემსვლელნი დამატებით გამოიცდებიან ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი).

გამოცდებზე დაშვებისათვის საჭიროა შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, დაბადების მოწმობა, (დედანი), პასპორტი (ადგილს პირადად ითხოვენ), ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სამი დამოწმებული ფოტოსურათი და სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების ცნობა.

ხაზიდან ჩამოსულნი როგორც გამოცდების დროს, ისე გაშოცდების ჩაბარების შემდეგ მოთავსებული იქნებიან საერთო საცხოვრებელში.

სტიპენდია საერთო წესით.

ტექნიკუმში კურსდამთავრებულთ ერიცხებათ პირველი თანრიგის ტექნიკოსის წოდება და ყველა მათგანი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოთი რკინიგზაზე.

განცხადებების მიღება ტექნიკუმის კანცელარიაში: თბილისი, წინო შვილის, 13, 10 ივნისიდან 10 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები 13 აგვისტოდან 23 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

1259 დირექცია.

ვაჭრობის სახკომისარიატის თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმში

მოემავალ 1938/39 სასწ. წლისათვის აცხადებს მოწაფეთა მიღებას ქართულ და რუსულ სექტორზე.

ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის საბჭოთა ვაჭრობის მუშაკებს აღრიცხვის და საქმეწარმოების ტექნიკოსის წოდების მინიჭებით. სწავლის ხანგრძლივობა სამი წელი.

ტექნიკუმში მიიღებიან ყველა მოქალაქენი ორივე სქესისა წლოვანებით 15-30-მდე, რომლებსაც ექნებათ მომზადება არანაკლებ საშუალო სკოლისა (შვიდწლედის) და რომლებიც ჩააბარებენ სათანადო გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებით.

განცხადებების მიღება იწყება 1-დან აგვისტოს 18-მდე დირექტორის სახელზე (ცენტრალის ქ. № 12). განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რომელ (ქართულ თუ რუსულ) სექტორზე სურს შესვლა.

განცხადებასთან დართულ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები:

1. მოწმობა (უეჭველად დედანი) არასრ. საშ. სკოლის დამთავრების შესახებ, 2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 3. მეტრიკული ამონაწერი (დაბადების შესახებ), 4. ორი სურათი უქუდოთ, შემომსვლელის საკუთარი ხელმოწერით, დამოწმებული სახელმწიფო დაწესებულების მიერ, 5. ავტობიოგრაფია, 6. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, სამხედრო ვალდებულნი თვის.

სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ტექნიკუმში მიიღებიან უგამოცდოდ. პირადი გამოცხადებისას წარმოდგენილ უნდა იქნას პასპორტი. მისაღები გამოცდები იწარმოებს 20-დან 27 აგვისტომდე შემდეგ საგნებში:

1. მათემატიკა (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია—წერა და ზეპირი).
2. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), 3. რუსული ენა, 4. ფიზ. გეოგრაფია და 5. პოლიტკოდნა.

1938 წელში არასრ. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც ზემოაღნიშნულ საგნებში აქვთ შეფასება „ფრიადი“, ტექნიკუმში მიღებულ იქნებიან უგამოცდოდ.

ტექნიკუმში ჩარიცხულთ მიეცემათ სტიპენდია აკადემიური წარმატების მიხედვით და უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

1643 საბჭ. ვაჭრ. ტექნიკუმის დირექტორი **ვ. გვალია.**



სსრკ კვებმრეწვსახკომი „გლავკონდიტერი“

პრიანიკი

(თაფლის პური)

გემრიელი, ნოყიერი, სურნელოვანი

მოითხოვეთ „გლავკონდიტერის“ ფაბრიკების პრიანიკი

149

უმაღლეს სასწ. შეღავათთა მოსამზადებელი კურსები ხსნის მოკლევადიან ახალ ჯგუფებს სამედიცინო ინსტიტუტისათვის.

პირობების გაგება: საბჭოს ქ. № 7, 6 საათიდან 10 საათამდე, 103 სკოლის შენობაში.

17888

საქფილებმის საზაფხულო თეატრი და ბაღი

ჭელეხაოვის პროსპ. 123, ტელ. 3-18-50

27 ივნისს ტალონი № 27 **ხომხეთის სსრ სიმღერისა, ცეკვისა და მუსიკის საღამო შოლიკ მკრტჩიანის, ვაღარშაკ სააკიანის** მონაწილეობით. **ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლი მეჭამანჩე ბ. მირზოკიანის** ხელმძღვანელობით, **ხალხური ცეკვათა ანსამბლი ე. მანუკიანის** ხელმძღვანელობით. დასაწყისი საღამოს 9 ს. 30 წ.

ღია ესტრადა 27, 29 და 30 ივნისს **ლენინგრადის ესტრადის უკანასკნელი გამოსვლა** კონფერანსიე **კ. ე. მიხაშიანი** ი. ს. გურკო, მ. და მ. ორლოვები თ. ბაკურაძე, კარნოლდი, მაჩხი და უკრ. როიალის პარტიას ასრულებს **ა. განოპორტი.**

დასაწყისი საღ. 10 ს. შესვლა ესტრადაზე ბაღის შესასვლელი ბილეთებით. 50

სსრკ კვებმრეწვსახკომის „გლავკონდიტერი“

ჩვენს ძაძაკოს ძებით ამკობს, რასაც ყველა დიდა ამგობს—

— კაკაო „ექსპრა“

კარგია, ბავშვებისათვის მარგებ!

მოითხოვეთ ყველგან „გლავკონდიტერის“ ფაბრიკა „ძრასნი ოქტიაბრის“ კაკაო „ექსპრა“.

169

საქართველოს პოლიგრაფიულ ტექნიკუმში

1938/39 წ. მიღების პირობები.

1. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15 წლიდან 21 წლის ასაკამდე წარმოებისაგან მოწყვეტით.

2. ტექნიკუმში მიიღებიან მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა, ან ისეთი სასწავლებელი, რომელიც უფლებით უკანასკნელთან გათანასწორებულია.

3. ტექნიკუმში შემომსვლელნი გამოიცდებიან არასრული საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში: ა) ქართულ ენაში (წერა და ზეპირი), ბ) რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), გ) მათემატიკაში (წერა და ზეპირი), დ) ფიზიკაში, ე) პოლიტკოდნაში.

4. შემომსვლელმა უნდა წარმოადგინოს პირადად ან გამოგზავნოს ფოსტით შემდეგი საბუთები: ა) განცხადება, ბ) ავტობიოგრაფია, გ) განათლების მოწმობა (დედანი), დ) ჯანმრთელობის ცნობა, ე) ორი ფოტოსურათი (უქუდოდ) მეორე გვერდზე შემსვლელის ხელისმოწერით და დაწესებულების მიერ დამოწმებული, ვ) ცნობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ.

5. განცხადებები მიიღება ყოველდღე ა. წ. 10 აგვისტომდე.

6. მისაღები გამოცდები იწარმოებს 15-დან 25 აგვისტომდე.

7. ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ. ტექნიკუმში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და რაიონებიდან ჩამოსულთა უმრავლესობა საერთო საცხოვრებლით.

მისამართი: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის ქ. № 3.

1648 პოლიგრაფტექნიკუმის დირექცია.

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, ადმოცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: საქმეიგზავნილი 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61. სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მწერალთა წერილების — 3—73—24; პ-მმ მორიგის — 3—26—67, ადმოცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კოტის ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ა—294